

რედაქცია: სკოლოლაქზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხალის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროშა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

უახლესი განცხადების: დღი ასობით ასობე 1 კაპ., ჩვეულებრივად ცერობით 5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხალის-მოწერა

„დროშაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სკოლოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газ. „Дროзба“.

უახლესი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილი—ხუთი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბუხარესტი, 10 ივლისს. ახალი სამინისტრო რუმინისა შემდეგი პირობისაგან შესდგა: ბრატანო—სამინისტროს რჩევის თავმჯდომარე და სარწმუნო-

ბის მინისტრი, სტურდა—ფინანსის სკოლოიან—იუსტიციისა, პოლკოვნიკი ლეკვე—სამხედრო, —ყველა ესენი ლიბერალურ პარტიას ეკუთვნის; ბოგრესკო—უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტი—საზოგადო მუშაობისა და სოციალისტურ შინაგანი საქმეების მინისტრი.

პეტერბურლი, 11 ივლისს. ხარკოვიდამ წასვლის წინათ გრაფ ლორას-მელიქოემა შეუმცირა სასამართლოსაგან გადაწყვეტილი სასჯელი სტუდენტს მფრემოვსა და სავენკოს ქალსა; მფრემოვს, ჩამო ღრჩობის მაგიერად, გარდაუწყვიტა კატორგაში სამუშაოთ გაგზავნა და სავენკოს ქალს, კატორგის მაგიერად, სიმბირში დასახლება.

პეტერბურლი, 12 ივლისს. შინაგანი სესხის მოგება 200,000 მანეთი ინტენერის ღირსის ბილეთს ერგო.

სოჭია, 11 ივლისს. რუსის ჯარების წასვლის შემდეგ ოსმალებმა ორ აღვილას მოინდომეს ბოლგარიაში ხალხის

აჯანყება. ოსმალ-ბაზარში და ხასკოიაში: მაგრამ აჯანყებულები მალე დაამთავრდნენ.

პეტერბურლი, 12 ივლისს. ბუშინ ხელმწიფე იმპერატორი დილის ოთხს საათზე მივიდა ტარსკოე სელოში, გამოიხმო ჯარები და თვითონვე ათამაშა. ჯარები მსწრაფლად მოგროვდნენ; ხელმწიფემ მოიწონა ამათი ვარჯიშობა.

ლონდონი, 12 ივლისს. ძაპის კალონის ხელმწიფე სეტევაიო არ დათანხმდა ინგლისის მოთხოვნილებას (მორიგების შესახებ) და იმის ბრძანებით ზულულებმა ინგლისის ჯარს ხელახლად სროლა დაუწყეს. ამის გამო ინგლისის ჯარი დაეცა თავს ზულულებს, დაამარცხა ისინი და დიდ ზარალი მისცა. ძალაქი ულუნდი აიღეს და დაანგრეს ინგლისელებმა, რომელთ სარდალი უელსლიე ფიქრობს, რომ ამ დამარცხების შემდეგ ზალუსებთან ომი გათავებულად უნდა ჩაითვალოს.

ფელტონი

პაიროლის სახლობა

(დასასრული)

მოვიდნენ პოემონტელები, რომლებმაც აიღეს ანკონი და შეეტა. ძაქი (ბარიბალდი), რომელიც „მეფეებს ტახტებს ურიგებდა და ართმევდა,“ რამდენიმე ხნით ძაპრერის კუნძულზე წავიდა; მაგრამ ჯერ ამას არ ვაეთაყვებინა თავისი საქმეები; იმას უნდოდა „რომი ან სიკვდილი.“

შველას ახსოვს, რომ როცა ბარიბალდი 1862 წელს დაბრუნდა სიცილიიდან, იმას განუშორებლათ დაჰყავდა თან ერთი ახალგაზდა, ლამაზი ყმაწვილი კაცი, რომელიც ყველას უფარდებოდა თვალში თავისი მშვენიერი მალაღობით და დაჭრილობის ნიშნით შუბლზედა. ის იყო მწიკო პაიროლი, რომელსაც შეუტრულდა მაშინ მარტო ოცდაორი წელიწადი. იმან დაიჭირა ექიმობის ეგზამენია და დაანება თავი არმიის მაიორობას, რადგანაც შესწირა თავი თავის

მამის ხელობას და უმეტესათ იმიტომ დაანება თავი, რომ ისევე აზღვევებოდა ბარიბალდის.

მე არას ვიამბობთ იმ უბედურ ასპრომონტეს ლაშქრობაზე. მოგახსენებთ მხოლოდ, რომ ამ ომში, რომელშიაც დაიჭრა ბარიბალდი, მწიკო პაიროლი იმ მოიხმარა ყველა ღონისძიება წესიერების დასადგენათ, რომ ვოლონტერები ისე დაეჭირა, რომ არ ესროლათ ჯარებისათვის. მწიკომ მხოლოდ მაშინ დაანება თავი ღენერალს, როცა ის ჩასვეს პორინიანოს ციხეში და თითონაც დაიჭირეს ბენუის მანლობლათ. შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა პატიება (ამნისტია) და ის დაბრუნდა პავიაში დაღონებული და გულ-მოკლული.

1866 წელს იტალიამ გამოაცხადა ომი ავსტრიას და ბარიბალდი გამოვიდა თავის ვოლონტერებით. იმ დროს ბენედეტოს ჰქონდა პოლკოვნიკის ჩინი, მწიკოს მაიორისა; ისინი იყვნენ ბარიბალდის ვოლონტერების რიცხვში და ემზადებოდნენ ტრენტინის კამპანიისათვის; ჯოვანნიც განდა სრულწლოვანი და შეეძლო თოფ-იარაღის ხმარება; ის შევიდა რეგულიარულ არმიასში.

ამ ომმა პაიროლების დედის—აღვილიდასთვის ბედნიერათ გაიარა: სამივე შვილი მშვიდობით დაუბრუნდა.

მეორე წელიწადს კი ბარიბალდი ეღვიბი, თავიანთ მოუშლელ მოუთმენელობის გამო, დაამარცხეს ასპრომონტეში. ბარიბალდი დაჰპირდა იტალიის მთავრობას თავის კუნძულს პაპრერაზე წასვლას; მაგრამ იმას როდი დაჰპირებია, რომ ამ კუნძულიდან ფეხს აღარ მოვიცლიო.

20 ოკტომბერს ხმა გამოვიდა, ვითომ ბარიბალდი ჩაჯდა მეტევეს ნაეში და გამოიპარა პაპრერიდანაო.

იმავე დღეს ტერნის მოქალაქეებმა დაიძახეს:

„— მივდივართ წმინდა რომში!“

ამ ქალაქში მწიკო ემზადებოდა ეკსპედიციისთვის. დილის რვა საათზე ის თავის 70 ამხანაგებით გავიდა და დილის ათ საათზე პატარა ატრიადი დაღვა ძანტალუნოსთან.

სოტა ხნის შემდეგ მწიკომ წაიკითხა შემდეგი დღიური ბრძანება:

„მოგვიახლოვდა საათი, როდესაც ჩვენ უნდა დაუშუქოცოთ ჩვენს სამშობლოს, რომ იმისთვის ბრძოლა და თავის განწირვა შეგეძლებია!

„ამხანაგო! უნდა მოგავიწყდეთ, რომ

პეტარბურღის ბირჟა, 13 ივლისს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 95 —
მეორე — — —	— 94 — 87
მესამესი — — —	— 94 — 75
მეოთხესი — — —	— 94 — 75
აღმოსავლეთის პირ.	— 92 — 62
აღმოსავლეთის მეორე	— 92 — 87
აღმოსავლეთის მესამე	— 92 — 75
მ.ქრო, 1/2 იმპერიალი	— 8 — 4
ოფილ. თავად-ან. ბანკის	
გირაოს ფურცელი	— „ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის	— 233 — 25
მეორე სესხის	— 233 — 50
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — —	24 — 75 პენსი
ბერლინი — — —	125 — „ ცენტი
პარიჟი — — —	211 — 50 სანტიმი
ვენა — — —	262 — „ ჰაფენიგი
პეტარბურღის კერასინი	— „ — „

საქართველო

დღიური

* * ზერ კიდევ სიციხით ვინრუკებით. არ იქნა ვერ ველირსეთ წვიმას! საღამოობით ხანდისხან თითქოს ცა მოიღრუბლებოდა, გვგონია—აჰ გვეშველა, იქნება ღმერთი გაუწყრეს და ცის ნამი გვე-

ჩვენი საქმე ძალიან მძიმე და თითქმის აუსრულებელი საქმეა. მე ვიცი თქვენი ვაჟაკობა. თქვენ მოგელისთ შიმშილი, დაქანცვა, სიკვდილის შიში და უანგარიშო დასაკლვისი. იქნება ზოგიერთს თქვენგანს არ შეუძლია, ავთმყოფობის ან სხვა რომელიმე მიზეზის გამო, ყველა ამ გაჭირების ატანა, სჯობს, ახლავ გვეთხრას და არ წამოვიდეს, რადგან ამ გვარნი პირნი იქ ჩვენ საქმეში ძალიან დაგვიშლიან; ვინც ღარჩება, იმათ ჩვენ ვნახავთ რომში. მათ საათზე ჩვენ გავდივართ სალაშქროდ.*

არც ერთ ვოლონტერმა არ მოინდომა დაბრუნება. მათ საათზე მოდიოდა საშინელი წვიმა; მაგრამ ვერ დაუშალა ატრიადს გამგზავრება.

მ.ც-ლა-ორს ოკტომბერს, დილით რვა საათზე, პატარა აღრიადმა მიადწია რომის სამძღვარს; სამასი თოფი ურმით მიჰქონდათ. მღ. ტიბრის პირზე ამათ ელოდა ერთი დიდი და რამდენიმე პატარა ნავი, რომლებშიაც ჩასხდნენ და საჩქაროთ დაემშენენ რომისაკენ.

მინესტო პაიროლი გაჩუმებული და დაღონებული იდგა ნავის ცხვირთან და რომისაკენ იყურებოდა. ტევერონის ჩა-

ღირსოს მეტეჟი. მაგრამ სად არის;—მეორე დღეს წამოვდგებით და სულ ისეთივე სულის შემხუთავი სიციხეა.

და, წარმოდგინეთ, ამისთანა სიციხეში ჩვენს ქალაქს ერთი ხეირიანი საბანებელი ადგილი არა აქვს! საზაფხულო თეატრის პირ-და-პირ ვაკეთა ვილაჯ სომეხმა შარშანწინ საბანებელი, მაგრამ ვინც იქ ყოფილა და ვისაც უბანია, იმას კარგათ ეცოდინება თუ რა სიამოვნებით შეიძლება ბანაობა. იქვე ფხვის-ადგილების მიღები გამოდის, ყოველგვარი ნაგავი და საძაგლობა აყროლებულს წყალში დასურავს,—წადი და იბანე ამისთანა წყალში! მართალია მტკვრის შარცხენა ნაპირზე, ანდრეევსკის სახლის მახლობლად, ვილაჯ ქალღირსმა გამართა ახლა უფრო სუფთა საბანებელი; მაგრამ ერთობ შორს არის; სანამ იქ მიხვილადე შუა ქალაქიდან, ესთქვათ, და უკან დაბრუნდებოდე, შენი დაგემართება ამ სიციხეში.

ზასაკვირველია, რატომ ღვთის-ნიერი კაცი არ ამოჩნდება ვინმე, რომ კარგ ალაგას გამართოს მტკვარზე ერთი ხეირიანი საბანებელი. მე გეტყვი თქვენ ფულს ვერ მოიგებს. . .

* * მრთს მღვდის გაზეთში იწერებიან, რომ ამ ქალაქში გაუმართავსთ პახურის ღვინის სარდაფი, რომელშიაც ჰაეჭავაძის, მუხრანსკისა და აბაშელი-ქოვის ღვინოები ისყიდებოდა. ზაზეთა ძალიან აქებს ამ ღვინოებს და ურჩევს ყველას, ვინც სამზღვარ-გარეთის ღვინოებში სამს და ოთხს მანეთს აძლენს, ეს ღვინოები იყიდონ, უფრო იაფათ დაგიჯდებათ (ბოთლი თხუთმეტ შა-

სართავში იდგა ერთი ნავი პაპის გვარდის სალდათებით; ვარიბალდიელები დაეცნენ ამთ, წაართვეს თოფები და დაატყვევეს.

მ.რ საათზე მოვიდნენ პონტე-მოლეს. აქ ელოდნენ ნიშნებს რომიდან: უნდა დაენახათ ხირალდები ქალაქში. მაგრამ უფარსკვლოდ ღამეში ვერა დაინახეს-რა; მხოლოდ ესმოდათ შორიდან ზარების რეკა.

პაიროლის პლანი იმაში მდგომარეობდა, რომ შეეტანა ღამე თოფ-იარაღი რომში, დეერიგებინა სამასი კაცისთინ, რომელნიც უნდა დახვედროდნენ მღ. ტიბრის პირს, და ერთად შესულიყვნენ რომში.

დიდხანს ელოდნენ, წვიმისაგან ძვლებამდინ დასველებულნი. ბოლოს გაგზავნეს ერთი უწინდელი ზარიბალდიელი, რომელიც დაბრუნდა უიმედო ამბებით. გაგზავნეს მეორე მარჯვე კაცი რომის რევოლიუციურ კომიტეტში. წავიდა და აღარ დაბრუნდა.

შათენდა თუ არა, გადმოვიდნენ ნავებიდან და ერთს მთაზე ავიდნენ. წვიმამ გადაიარა, დღე დადგა მოწმინდილი და თბილი, როგორც ივნისში. ამ მალლობიდან გამოჩნდა გუმბეთი პეტრე-პავლეს

ურად ისყიდებოდა) და უკეთესი ღვინოც არისო.

ამავე გაზეთის სიტყვით, უცხო ქვეყნის ღვინის ვაჭრები (განსაკუთრებით საფრანგეთისა) ხშირად პეტარბურღის ჰეილ-ლობენ ღვინოებს, მიაქვთ თავიანთ ქვეყნებში, იქ ცოტა რაღაცებს გაურჩვენ, შეაზავენ და მერე ისევ ჩვენში მოაქვსთ, ეს შატო-ლაფიტის, სოტერნის და სხვ. ღვინო არისო, და ამ ჩვენს ღვინოში ერთი-ათად გვახდევინებენ ფასსაო! სხვათა შორის წელს ბორდოს ღვინის ვაჭრებმა 20,000 ვერო ღვინო იყიდეს პეტარბურღის და შოთილამ გაიტანესო. ამ ღვინოს, უქვევლია, ერთი-ორი წლის შემდეგ ისევ რუსეთში შემოიტანენ და მანეთიან ბოთლში ხუთ-ექვს მანეთს გარდაგვახდევინებენო.

* * * აძარილამ იწერებიან, რომ ახალი საცხენოსნო გზა, რომელიც ბათუმიდან გაჭყავთ პეტარბურღს და ახალციხისაკენ, სანახევროდ მზათ არისო. ბათუმიდან პრთინს მიმავალი აგრეთვე ცხენის გზა ამ შემოდგომამდინ სრულიად დამზადებული იქნებაო.

იქილამვე მოედა ამბავი, რომ პეტარის სამს სოფელში: ძოდას, ღონდალო-სა და ხულას ყაზარმები შენდება ჯარების დასაყენებლათაო.

* * * რამოდენიმე ახალი ამბავი ჩვენი მწიგნობრობის შესახებ:

— ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ ცალკე წიგნად გამოცემული მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა „მღაზის ნაამბობი.“ გამოცემა უფ. პ. საფაროვისა, ამისივე წინასიტყვაობით. ეს ჩინებული მოთხრობა, როგორც მოგვხსენებთ, პირვე-

ეკკლესიისა, რომელიც პეტარბურღამდა ახალ ამოსულ მზის შუქზე; ზარიბალდიელებმა რომ დაინახეს ეს, ერთის ხმით შესძახეს:

— „აი რომი სად არის!“ მეორე დღეს დილით, მეხუთე საათზე, ჯოვანნი პაიროლიმ შეატყობინა დანარჩენებს, რომ იმათკენ მოდიოდა დიდი ატრიადი პაპის ჯარისა: ესენი იყვნენ ზუავეები, ანტიბის ლეგიონი, და ფრანკუზის სალდათები, გამოგზავნილი ნაპოლეონ მე-III-საგან..

პირველად იერიშით მოსვლა მტრისა ვაჟაკურად უკუ-აქციეს. მწრიკო პაიროლიმ უკამანდა, რომ ხიშტზე მისულიყვნენ და თითონ წინ წავიდა თავისი კაცებით ყვირილითა:

„— ბაუმარჯოს რომს! ბაუმარჯოს ზარიბალდის!“

ჯოვანნიმ, რომელიც უკან დარჩა, უთხრა იმას:

— მოიცა, ჩვენ ერთად უნდა წავიდეთ.

და მისწრო სწორედ იმ დროს, როცა იმისი ძმა პირიანხეში და გულში დაჭრილი წაქცევას აპირებდა... მწრიკო რომ მოჰყვანდა, ამ დროს თითონ იმასაც მოხვდა ტყვია შუბლში და ჯერ ძმა



ლად „საქართველოს მოამბეში“ იყო დაბეჭდილი. ურიგოდ არ არის გამოცემული. წიგნი ხუთ შაურად ისყიდება— ძვირი არ არის.

—უპ. ღიმიტრი ბაქრაძე აბეჭდვინებს პატარა ისტორიულ მონოგრაფიას საქართველოს ხალხის გაქრისტიანების თაობაზედ, სახელად „მირვან მეფე და წმინდანინო“; ეს წიგნი ამ დღეებში გამოვა.

—როგორც შევიტყუეთ, უფ. ღიმიტრი ბაქრაძეს განზრახვა აქვს, რომ ამგვარ მონოგრაფიებად და ბიოგრაფიებად გამოსცეს მთელი საქართველოს ისტორია; თითოეული წიგნი, რომელიც ორ ანუ სამ შაურად ეღირება, შეიცავს საქართველოს რომელიმე გამოჩენილ ისტორიულ პირის ცხოვრების აღწერას ანუ რომელიმე შესანიშნავ ისტორიულ ეპოქას.

რასაკვირველია, ეს კარგი აზრია და ყოველად მოსაწონი შრომა; მაგრამ არა გვეგონია, რომ ამგვარი მონოგრაფიები ჩვენი სახალხო შკოლებისა და საზოგადოთ სასწავლებლებისათვის გამოდგეს. ისტორიის სახელმძღვანელო, თუ შეიძლება, ერთ წიგნად უნდა იყოს გამოცემული, მოკლედ, მაგრამ, ცოცხლად, გარკვევით და დალაგებით დაწერილი.

—ჩვენ შევიტყუეთ, რომ სამი პირი არდგენს ამ ჟამად ჩვენში ქართულ გრამმატიკას: უფ. იაკობ ზოგებაშვილი, პეტრე შიკიაშვილი და მღ. ღიმიტრი ჯანაშვილი. ჩვენთვის როგორც ხათ ამ პატივცემულ პირთ, ურჩევდით, რომ სამი გრამმატიკის ცალ-ცალკე შედგენასა და გამოცემას, ის ამჯობინებდა, რომ სამივე ერთად შეკრები-

ლიყვნენ, მოელაპარაკნათ, ერთად გადაეწყვიტათ ყოველი საბაასო საგნები, ერთად გამოეკვლიათ ჩვენი გრამმატიკის კანონები და მერე ეყელას ერთი წიგნი, ერთი გრამმატიკა გამოეცათ.

—უფ. მიხეილსონის სტამბაში იბეჭდება ამ ჟამად ახალი გამოცემა, გერმანულად დაწერილი „სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებლად ქართველ ყრმათათვის.“ როგორც გვითხრეს, ეს სახელმძღვანელო უფ. იაკ. ზოგებაშვილს გარდაუხედავს და შეუფსია. ამ წიგნს ჩვენი ახლად დარსებული „საქართველოში წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აბეჭდვინებს თავის ხარჯით.

—უფ. ზაქ. ჭაჭრაძე გვაცნობებს, რომ ამ დღეებში იმან იყიდა იარპუკაზ სომხურს ენაზე დაწერილი „სართველო ისტორია“, რომელიც 1741 წელს დაბეჭდილი ინდოეთში ქალაქ მადრასში. ჩვენი ქვეყნის ისტორია ამ წიგნში ბაგრატიდების გამეფებიდან იწყება; მრბელიანების საქართველოში გადმოსვლის ამბავი დაწვრილებით არის აწერილი და სხვ.

ეს წიგნი ქართულად ითარგმნება.

* * * იმერეთიდან გვაცნობებენ, რომ რადგან ეს ერთი თვეა, იქითკენ წვიმა არ უაფთა, ამისგამო საშინელი გვალვა არისო და ნამუშევარი ხდებაო. ზემო-იმერეთში ყურძნისათვის თითქმის ყველგან „ნაცარი“ დაუყრია.

ზემო-იმერეთიდანვე გვწერენ, რომ ზოგიერთ აქაურს სოფლებში სწორეთ ისეთივე მჭვალის ჯავთმყოფობა გაჩნდა

და ისე ხოცავს ხალხს, როგორც მტრის უეზღში იყო.

„დროების“ კორექტორისათვის

(დასასრული) *)

ოზურგეთიდან, 3 ივლისს. ბაბრიელ ვისკოპოსს მართლა დიდი მნიშვნელობა, სახელი და გავლენა ჰქონდა იმერეთის საზოგადოებაში პირველ ათის წლის განმავლობაში თავის სამწყაოში შესვლიდან დაწყებული.

იგი შევიდა 1860 წელს თავის სამწყაოში და იყო იმერეთის საზოგადოების წინამძღვრობა და სწავლება, როგორც არა მარტო ჩვეულებრივ სწავლულმა სამღვდლო პირმა, მეტკულმა ამღვთა წერილის ცოდნითა, არამედ ეგრეთვე მრავალ მხაროვნად განათლებული და თანამედროვე კაცმა. ამის-და-კვალად იგი მთელს თავის ქადაგებათა ჰაწირავდა იმისთანა კითხვებს, რომელთაც ჰძრავდა თანამედროვე ცხოვრება, მაგალითად: ქალის ეხლანდელი მდგომარეობა და მოვალეობა, ბავშვების აღზრდა ჩვენში, ქართველების კარგი და ცუდი ჩვეულებანი, გლეხების განთავისუფლება და სხვა-და-სხვა. წარმოიდგინეთ, რომ ერთხელ მან შესწირა მთელი ქადაგება ჩვენში ფერ-უმარულის ხმარების ჩვეულებას!

მისი ღირსება ზემოხსენებულ კითხვების ამორჩევაში მარტო არ მდგომარეობდა. ამ კითხვების შესახებ იგი გამოასტევადა კეთილშობილურ აზრებს

*) „დროება“ № 145

ხელში ეჭირა, რომ თითონაც დაეცა.

— იცი, ჯოვანნი, რომ მე ვკვდები! შთხრა უფროსმა ძმამ. „მე ვკვდები და გთხოვ დამმარხო მრნესტოს და ლუიჯის გვერდით... მომიკითხე დედა ჩემი, ბენედეტო და ჩემი ამხანაგები...“

— მეცა ვკვდები, მირიკო! მიუფო უნცროსმა ძმამ.

მამაკვდავი ძმები პაპის სალდათებმა კიდე დასჭრეს ხიშტებით რამდენიმე ალაგას. ამათი ამხანაგები კი კიდე დიდ ხან იბრძოდნენ და ბოლოს ერთ სახლში შეეფარნენ. პაპის სალდათები ვერ გამოუდგნენ იმათა და მალე უკან დაბრუნდნენ.

მირიკო მოკვდა. ჯოვანნი კი მოსულიერდა და შეელოდა ერთ დაჭრილ ამხანაგს. დანარჩენი ამხანაგები დაიფანტნენ თავიანთ დაჭრილებით, რომლებსაც შეეძლოთ სიარული. მომეტებული ნაწილი ამათგანი ვადავიდა სამზღვარს გარეთ; ორმა თუ სამმა დაკარგეს გზა და დაეჭირათ ტყვეთ; ზოგი თვით რომში დაეჭირათ.

ეს ამბავი მოხდა მენტანის ბრძოლის ერთი კვირის წინათ.

მრთ თვის გამოამავლობაში ჯოვანნი-ზე არაფერი ისმოდა. შემდეგ ლაპარაკობდნენ უცნაურ ამბავს: თითქო ჯოვანნი ყოფილიყვეს ერთ რომის გოსპიტალში და თითქო იმას ჰქონოდა რაღაც ლაპარაკი პაპა პიო მე-IX-სთან. მრთ მშვენიერ დღეს ჯოვანნი ნახეს შლორენციის სტანციაში მოპარსულის თავით და დაგლეჯილის ტანისამოსით; თავი ჯერაც არ მორჩინდა. ინგლისის კათოლიკებს ეშველათ იმისათვის. შლორენციიდან გაბრუნდა ბროპველოში, საცა ძმა იმისი კიდეც მიესვენებინათ და მიწისთვინ მიებარებინათ.

ბევრს ეგონა ჯოვანნის მორჩენა, მარამ 1869 წელს დაჭრილობა ძალიან აეშალა, აკათმყოფობა უფრო უძრვილდებოდა, დღე-დღეზე ტანჯვა და მწუხარება ემატებოდა. 23 წლის არტილერიის აფიცარს, მეტადრე თავის კარგი სახელით, შეეძლო შეედგინა კარგი კარიერა; მაგრამ ის იმას არა ფიქრობდა; იმის ფიქრი იყო იტალიის შეეროება, იმას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ თავისი სიკვდილით გულს უკლავდა და სტანჯავდა დედას..

უკანასკნელ სულის მიბარების დროსაც ბოდავდა: რომზე, მარბალდიზე და თავის სამშობლო იტალიაზე.

მც-და-ექვისი წლის ჯოვანნი გადიც-

ქალა 13 ოქტომბერს 1869 წელს.

შეიღების შემდეგ გადაიცილა თითონ დედაც; იმის მამულის მოყვარობამ და ქველ-მოქმედებამ მთელი იტალიის პატივის-ცემა დაიმსახურა. იუმცა დატანჯულად და გულ-მოკლულად, მაგრამ ის მაინც მოესწრო საზოგადო ბედნიერებას: რომი გახდა იტალიის დედაქალაქად. აღვლიდა გარდაიცილა 17 მარტს 1871 წელს.

1875 წელს, ქალაქს ბროპველოში დადგეს ძეგლი აღვლიდა ძაიროლის სახელზედ. ამ ძეგლის კურთხევის დროს, უფროსმა შეიღმა, ბენედეტომ, რომელიც მარტო დარჩა ცოცხალი, წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც სამის წინადადებით გამოითქმის:

„პატივის-ცემა მიცვალბებულისა, იმედი სამშობლოსი და თავის მოვალეობის აღსრულება.“

შარმან, როგორც მოგვხსენებთ, ბენედეტო ძაიროლი იყო იტალიის სამინისტროს პირველ-მჯდომარედ და გადაარჩინა იტალიის ძაიროლი ბუშმბერტი სიკვდილისაგან, როცა პასანანტე მოკვლას უპირებდა იმას.

მარგმანი მ. ც—ლისა.



და ჰემარტი შეხედულობას. ამასთან დასძინოთ მისი მშვენიერი ქართული ენა. მისი მძლავრი ლოლიკა და ნათელ მაგალითების თავის დროზე და თავის ადგილას ხმარებაში გავარჯიშებულობა, და ადვილად წარმოვიდგინეთ, თუ რა გავლენა უნდა ჰქონოდა ხალხზე მის ქადაგებას, თუ რატომ ჩაეჭრებოდა მისი ქადაგება მსმენელს გონებაში ისე მძლავრად, რომ მსმენელი ათი-თუთხმეტი წლის შემდეგ ისე იმეორებს მთელს ქადაგებას, თითქოს დღეს მოესმინოს იგი. ამასთანა მაგალითებს ხშირად შეხედებით იშვრეთის საზოგადოებაში, მეტადრე ქალებში, რომელზედაც საზოგადოთ უფრო აქვს გავლენა ცოცხალ სიტყვას და კეთილშობილ აზრებს და მიმართულებას.

ამ დროებში ბაბრიელ ეპისკოპოსი იყო იმერეთის საზოგადოებაში ერთადერთი საქვეყნო მქადაგებელი, თითქმის ერთადერთი საზოგადოებისთვის მოღვაწე და მომქმედი.

1860 წლის დასაწყისში ჩვენს საზოგადოებაში არ მოქმედებდა არც ლიტურატურა და არც ის საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომელნიც ეხლა არსებობენ; მაშინ ჩვენს საზოგადოებას არ ჰყავდა არც მეთაფი იმ ერთგულ ახალ-გაზღვებისა, რომელნიც ეხლა ემახსურებიან მას. შეველა ამათი ადგილი ეჭირა და ყველა ამათ მოვალეობას ასრულებდა ჩვენი, მაშინ ახალ-გაზღვა და ენერგიული, მქადაგებელი. ამისათვის მას დიდი მადლობა ერგება ჩვენის სამშობლოს ბედნიერებისთვის მოღვაწე თაობისაგან. მაგრამ ეს მადლობა ეკუთვნის მხოლოდ მისს წარსულს მოღვაწეობას.

ათიოდე წელიწადია, რომ მასში აღარ სჩანს წინანდელი მქადაგებელი. ათიოდე წელიწადია, რომ ის, ჩვენდა სამწუხაროდ, გადაუდგა თავის ჩვეულებას და მიმართულებას. მასში ერთმა კერძომ მისის წოდებისამ გადასძლია და ამიტომ თავის ქადაგებაში იგი აღარ ეხება თანამედროვე კითხვებს, ან, როცა იშვიათად შეეხება მათ, უწინდელ მაღალ აზრების მაგიერ მის სიტყვებში შემცდარი და ვიწრო აზრები გვესმის.

1868 წ. იანვარში ის ერთ ქადაგებაში შეეხრა ქვეყნის ბედნიერებას, სოფლის კეთილ-დღეობას, მაგრამ მაშინვე შეწყვიტა სიტყვა ამ საგანზე და ბოლოში მოიხადა, რომ ის შეეხრა საყდარში იმისთანა საგანს, რომელიც აქ უადგილო არისო. „მაგრამ წარვიტაცა სოფლის სოფლის ჩვეულებამო“. ამავე ხანებში წარმოთქმულ სიტყვაში ახალ სასამართლოებზე იმან საჭიროდ დაინახა ამისთანავე ბოლოშის მოხდა.

უკანასკნელ წლებში ის რამოდენჯერმე შეეხრა თავის ქადაგებაში ზოგიერთ ახალ-გაზღვების აზრებს, მაგრამ იმის მაგიერ, რომ მას ჩვეულებისამებრ ჯეროვანად გავცნო ეს აზრები, რომ თავის მსმენელთათვის რივიანად აეხსნა

ისინი და წარმოედგინა გონიერი მსჯელობა იმის შესახებ, თუ რითი არიან ეს აზრები ცუდი ან კარგი, — ამის მაგიერ, ეამბობ მე, იმან არჩია ერთს თავის ქადაგებაში ამ აზრების შეჩვენება მხოლოდ ორი მკვანესიტყვებით: „ამასთანა აზრებს წამოანთხევს პირიდან მხოლოდ ბრიყვი და უღმერთო“.

რაც შეეხება მის განკარგულებებს თავის სამწყაოში ამ უკანასკნელ წლებში, ერთი უმთავრეს განკარგულებათაგანი მისი ის არის, რომ მღვდლებმა ჯვარი არ დასწერონ იმისთანა პირებს, რომელთაც რამოდენიმე ლოცვენი ზეპირად არ ეცოდინებათო.

მკითხველებმა იციან, თუ რა ბოროტ-მოქმედება მოჰყვა ამ განკარგულებას მდებალ სამღვდლოების მხრით. მისიკაპოსისაგან განსაკუთრებით გასაკვირველი ის არის, რომ იგი, თუმც კი ხედავდა ამ ბოროტ-მოქმედებას, თუმცა კი ხედავდა, რომ ვერ შეეძლო მისი მოსაზება, მაგრამ მაინც მოინდომა, ეს განკარგულება ძალაში ყოფილიყო, თითქოს მართლა რაიმე სარგებლობა შეეძლო მოეტანა ამისთანა განკარგულებას, თითქოს ქრისტიანობა გაძლიერდებოდა იმით, რომ რამოდენიმე ლოცვენი ზეპირად ეცოდინებოდა ხალხს; ამისთანა მაგალითები გვიჩვენებენ რომ ჩვენი მოძღვარი აღარ არის ის, რაც უწინ იყო.

ამის მიზეზი, რასაკვირველია, უნდა ვეძებოთ მის გარემოში. როგორი იყო ეს გარემო? მისთან ჰქონდა ჩვენს მღვდელ-მთაფარს რაიმე განწყობილება და კავშირი? მართს (ხრით მდებალ სამღვდლოებასთან და მეორეს მხრით ამ ქვეყნის ძლიერებთან. რასაკვირველია, ვერცერთის და ვერც მეორის მხრით იგი ვერაფერს კეთილს ვერ შეიძენდა. მართის მხრით სუფევს სრული უმეცრება და მეორეს მხრით კაცურ მოვალეობის დაიწყება, თავის გამაბედნიერებელ ქვეყნისადმი უმადურობა და ცუდი განზრახულება. რანდენად ამ გარემოზედ უმაღლესი იყო ჩვენი მღვდელ-მთაფარი, იმდენად უფრო საკვირველია, რომ მაზედ გავლენა იქონია ამ გარემომ. ჩვენ-ნაქებმა მქადაგებელმა ქართულ ანდაზას გადააჭარბა და ფერიც იცვალა და ზნეც. ია აჰყვა თავის გარემოს მაგალითს და დაიწყო ღალატება, რომ განათლებული ახალგაზღვობა უღმერთო და ურწმუნო არისო.

ნუ ვლით მის იტყვებში ამის თაობაზე ნურც საგნის საფუძვლიანად განხილვას, ნურც განმარტებას იმისა, თუ რაში ხედავს იგი განათლებულ ახალგაზღვობის უღმერთობას და ურწმუნოებას, და ნურც თავის სიტყვების დამტკიცებას. როგორც უწინ სხვები ამბობდნენ, რომ ახალგაზღვებს, რომელთაც უსწავლიათ სასწავლებელში, მეტადრე მაღალ სასწავლებელში, ღმერთი აღარ სწამთო და ქრისტიანობა აღარ აქვსთო, ისე იგიც იმეორებს, და ყოველი განმარტე-

ბა ამ ბრალდებულებებისა მას უხარჯებლოდ დაუნახავს. რასაკვირველია, უსაფუძვლო ბრალდებულებას ვასუნიც არ მიეცემა და საჭიროც არ არის.

მინც უნდა იყოს ამ ბრალდებულების მამტიცებელი, ახალგაზღვობას ამით არა დააკლდება-რა. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ მღვდელ-მთაფარი, რომელიც იყო განათლებულ და კეთილშობილ ახალგაზღვობის მოვალეობის გამადვილებელი, თავის გზას გადაუდგა; რომ ეს მღვდელ-მთაფარი ველარ ხედავს, რომ განათლებული ახალგაზღვობა თავის ვალად ხდის იმას, რაც მისი ვალიც უნდა იყოს — ჩვენის საზოგადოების ზნეობით და სულიერ ამაღლებას.

ახალგაზღვობას ვერას დააკლებენ-მეთქი, იმიტომ რომ ის ძლიერია ზნეობით; მას ცოცხალი ძალა ყოველ წლობით თან-და-თან ემატება. შოველ ნიჭიერს კაცს, რომელიც ამ ახალგაზღვობას მიმხრობია და მასთან ერთად გაუწევია უღელი, — ქვეყანაზედ ნამდვილ კაცად გაუტარებია თავისი სიცოცხლე, მის ნიჭს რაიმე ნაყოფი მოუტანია და მისს მოსვენება ჰქონია. წინ აღმდგე ამისა არაერთი ნიჭი, რომელიც ამ ახალგაზღვობას განდგომია, უნაყოფოთ დამქრალა და შეწუხებულ სენიღისით დამქანარა. მე არ შევალ იმის გამოკვლევაში თუ რა მიზეზია იმერეთის ეპისკოპოსის ახალგაზღვობასთან ამისთანა განწყობილებისა, მისგან ახალგაზღვობის ამისთანა განკიცხვისა. მე მხოლოდ ის მაკვირვებს, რომ ახალგაზღვობის დაუცხრომელად ძაგება მან დაიწყო მას შემდეგ, რაც „დროება“ შეეხრა და გამოაშუქარავა ბელათის მონასტრის სამკაულების ამბავი 1873 წელსა.

ნუ თუ აქა აქვს ადგილი შეურაცხყოფილ თანმოყვარეობის დაკმაყოფილებას? მაშ აქ თავ მოყვარეობას მიეცემა მსხვერპლად მთელის ხალხის ინტერესი ისე, როგორც მეორე ადგილას მსურვეთის გამსესხებელ-შემწანველს ამხანაგობა მიეცემა მსხვერპლად სახლი-კაცებს? ამისთანა საქციელი განათლებულ მღვდელ-მთაფარისაგან არამთუ გასაკვირველი და გასაოცარია არამედ უარესი რამეცა.

— 5 — ლ — ძე.

განცხადება

შიიცევაჲ ქირით

მარიამობის პირველიდან მაღაზია შეკაფებით და სხვა რიგი გამართულობით (შეიძლება უამათოთაც) მარანცოვის პამიატნიკის გვერდზე, წარჩინაოვის სახლებში.

მსურველს დაწვრილებით შეუძლიან გაიგოს აბესალომოვის მაღაზიაში, სა სახლის ქუჩაზე